საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 101

2017 წლის 13 ოქტომბერი,
ქ. ბათუმი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2017-2018 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2017-2018 სასწავლო წელს სასწავლო პროცესი წარიმართოს შემდეგი ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად:

ა) 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესი დაიწყოს 2017 წლის 9 ოქტომბერს და დასრულდეს 3 თებერვალს;

ბ) შემოდგომის სემესტრში ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2018 წლის 5 თებერვლიდან 24 თებერვლის ჩათვლით;

გ) დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2018 წლის 5 მარტიდან 10 მარტის ჩათვლით;

დ) გაზაფხულის სემესტრის სალექციო-სააუდიტორიო სამუშაო დაიწყოს 2018 წლის 12 მარტს და დამთავრდეს 2018 წლის 30 ივნისს;

ე) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2018 წლის 2 ივლისიდან 21 ივლისის ჩათვლით;

ვ) გაზაფხულის სემესტრის დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2018 წლის 30 ივლისიდან 4 აგვისტოს ჩათვლით.

2. დადგენილება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ–ს კანცელარიასთან და ფაკულტეტის დეკანატთან თვალსაჩინო ადგილებზე, ასევე ბსუ–ს ვებგვერდზე და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**